

ჩემი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №4 აპრილი 2015 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი

აღდგომას წინ ყველაზე დიდი და მძიმე მარხვა უსწრებს. დღესასწაულის შესახვედრად მორწმუნეები სულიერად ემზადებიან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო კვირას ენიჭება. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობა — ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანება იზეიმება. ორშაბაითდან კი ვნების კვირეული იღებს სათავეს.

ვნების კვირეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. განსაკუთრებით გამოყოფენ ხუთშაბათს — საიდუმლო სერობის დღეს, როდესაც მაცხოვარი ზიარების საიდუმლოს აწესებს და წითელ პარასკევს — ქრისტეს ჯვარცმის დღეა. ეს ყველაზე მძიმე დღეა თითოეული ქრისტიანისათვის. პარასკეობით წითლად ღებავენ კვერცხებს, რაც მაცხოვრის მიერ ჩვენთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა.

აღდგომა 12 საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვებისაგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა. ოთხივე სახარების თანახმად, ღვთისმშობლისაგან უბიწოდ შობილი ქრისტეს ჯვარცმა პარასკევს აღესრულა. ეს უდიდესი მწუხარების დღეა ნებისმიერი მორმწუნესათვის. თუმცა მესამე დღეს — კვირას მწუხარებას სიხარული ენაცვლება და ქრისტიანები მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას ზეიმობენ.

ქრისტე აღსდგა! მხსნელი გამოჩნდა ყველასთვის, დიდება და მადლობა შენდა, უფალო!

ხარება — დასაბამი ჭეშმარიტი სიხარულისა

ხარება ერთ-ერთია 12 საუფლო დღესასწაულს შორის, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს.

ლუკას სახარება გვასწავლის: უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი მიავლინა გალილეის ქალაქ ნაზარეთში, ქალწულ მარიამთან. შევიდა ანგელოზი მარიამთან და უთხრა: „გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. უფლის ანგელოზის გამოცხადებამ შეაძრწუნა და ჩაფიქრა გამოუცდელი ქალწული — ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო? ანგელოზმა დაამშვიდა იგი: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა ესერა შენ მუცლადიღო და შვა ძე და უწოდო სახელი მისი იესო. — სული წმიდაი მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისაი გფარვიდეს შენ“. ქალწული კი თავის მორჩილებას ასე გამოხატავს: „აჰა მხევალი უფლისაი, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა!“

უდიდეს საუფლო დღესასწაულს, რომელსაც 25 მარტს ძველის ტილით დღესასწაულობს ეკლესია, ხარება ეწოდება, რადგან ამ დღეს არა მხოლოდ ყოვლადწმიდა მარიამს, არამედ მთელ კაცობრიობას ეხარა, რომ სახიერმა ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანი სიკვდილისა და ცოდვის სამუდამო ტყვეობისათვის ვერ გასწირა და მისი ეშმაკის მონობისაგან გამოსყიდვა გადაწყვიტა. ეს არის დასაბამი, „თავი ჩვენი ცხონებისა და გამოჩინება საუკუნითგან დამალული საიდუმლოისა“.

ბზობა — ბაიაობა



ბზობა-ბაიაობა — ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაულია. მოძრავია, აღინიშნება აღდგომის წინა კვირა დღეს. ქრისტიანულ მსახურებში ბზობის დღესასწაული IV საუკუნეში შემოვიდა. მისი შინაარსი დაფუძნებულია სახარების მონათხრობზე, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი. მოსახლეობა იესოს ზეიმით შეეგება. ზოგი მის სახედარს ფეხქვეშ თავის სამოსს უგებდა, ზოგი პალმებს — ბაიას უფენდა, თან „ოსანას“ შესძახოდნენ: „ოსანა ძე ღვთისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

ბზობის ზეიმი სტეფანწმინდაში
არქიმანდრიტ ნიკოლოზთან ერთად

შვიდგზის ზეთისცხება მეუფე
იეგუდიელთან ერთად

დიდი ხუთშაბათი — საიდუმლო სერობა

დიდ ხუთშაბათს, საიდუმლო სერობის ჟამს უფალმა ზიარების საიდუმლო დაადგინა. წმიდა მამათა სწავლებით, პირველ ლიტურგიაზე ზეციური მადლით განათებულმა ღმერთკაცმა აიღო მის წინ მდებარე პური, აკურთხა იგი, გადატეხა ნაწილებად, მოწაფეთა რიგის მიხედვით და დაურიგა მათ. ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესო პური, აღავლინა ქება თავისი ზეციური მამისადმი, ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა, თვისთა და პრქუა მათ: **„მიიღეთ და ჭამეთ, ეს არს ხორცი ჩემი თქუენთვის მიცემული; ამას ჰყოფდით მოსახსენებლად ჩემდა“**. მერე უფალმა აიღო სასმისი ღვინით, გააზავა იგი წყლით, აკურთხა ისევე, როგორც პური, ახალი, განსაკუთრებული კურთხევით და მოიღო სასმელი, და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: **„სუთ ამისგან ყოველთა. ესე არს სისხლი ჩემი, არა სახე, არა გახსენება სისხლისა, არამედ ჭეშმარიტი და ნამდვილი სისხლი ახლისა აღთქმისაი მრავალთათვის. ყველასათვის, ვინც კი ისურვებს შეუდგეს ცხონების საქმეს, დათხეული მისატევებლად ცოდვათა“**. ასე დაწესდა საიდუმლო სერობაზე პირველი ლიტურგია იესო ქრისტესი.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

წითელი პარასკევი

უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულამდე ქრისტეს 3 დღე დარჩა. სწორედ სამი დღით ადრე, პარასკევს ყველა ქრისტიანის ოჯახში კვერცხები წითლად იღებება და ზოგან პასკებიც ცხვება. ამ დღეს წითელ პარასკევს უწოდებენ, რადგან სწორედ მაშინ ეცვა უფალი ქრისტე ჯვარს საკუთარი ხალხის განაჩენის მიხედვით და სამი დღის შემდგომ ბრწყინვალედ აღსდგა!

წითელი პარასკევი დიდი მარხვის ყველაზე ძძიძე დღეა. ამ დღეს ტაძრებში წირვა არ აღესრულება, რადგან ადამიანთა ცოდვებისაგან გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა.

ამ დღეს ტაძრებში იკითხება თორმეტი ვნების სახარება და სამეუფეო ჟამნები უფლის ვნების შესახებ.

14 აპრილი — დედაენის დღე

ჩვენი დედაენა — მრავალჭირგამოვლილი, ბევრჯერ სიკვდილის პირას მისული, მაგრამ ფენიქსივით განახლებული და აშზეებული. ქართული ენა – ქართველი კაცის უკვდავება და სინდის-ნამუსი, მისი სიამაყე და სამკვიდრო.

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან, — ამბობდა დიდი ილია, — მამული, ენა, სარწმუნოება, და თუ ამასაც ვერ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხი გავცეთ შთამომავლობას“.

დედაენის სწავლებას დაწყებითი კლასიდან ეყრება საფუძველი — ეს კარგად იციან გიმნაზიის სკოლის პედაგოგ-მასწავლებლებმა. გიმნაზიის დაწყებითი კლასის მასწავლებელმა მაია ფიცხელაურმა, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პირველ კლასში შესული მოსწავლეებისათვის დედაენის სწავლების მნიშვნელობას. მომავალ სასწავლო წელს პირველი კლასის მასწავლებელი ვიქნები და ამას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვეკიდები ყოველთვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს თავიდან როგორ დავაუფლებთ მოსწავლეებს მშობლიური ენის სიყვარულს. გამოვუმუშავებთ მეტყველებას. მოვამზადებთ განათლებულ ახალგაზრდობას, რომელსაც შეუძლია ენა სახოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში გამოიყენოს, „ენა ჩვენი, მადლიანი მზის ემბაზში ნაბანი, მოსირმული ანბანი, მგალობელი აკვანი“.

„დედაენა“ სამარადჟამო ძეგლია იაკობ გოგებაშვილისა, წიგნი ჟრჟოლა, წიგნი საუნჯე“...

„ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბანი ფურცელი
ჩვენს ყრმობაში ჩართული“.

გაზაფხული შემოსულა

გაზაფხულის დღესასწაულთან დაკავშირებით ლამაზი ზეიმი მოგვიწყო ჩემმა მასწავლებელმა მაია ფიცხელაურმა,ძან, ვინაც შეგვასწავლა „დედაენა“. ჩავატარეთ კონკურსი, დავწერეთ მოთხრობები თემაზე „გაზაფხული შემოსულა“. შეზღუდულ დროში პასუხი გავეცით მასწავლებლის მიერ შედგენილ ტესტებს. ვეელამ წავიკითხეთ ჩვენ მიერ დაწერილი მოთხრობები. შემდეგ დავიწყეთ გასართობი თამაშები „ყველაზე მოხერხებული“. ფქვილში ჩადებულ კამფეტს ვპოულობდით პირით, ბუშტი უნდა გაგვეხეთქა ჯდომით, ასევე ბუშტი უნდა ჩაგვეგდო სამიზნეში და სხვა. ღონისძიება ძალიან მოგვეწონა და გაგვიჩნდა სურვილი, რომ ასეთი ერთობლივი თამაშები კიდევ ჩავატაროთ.

ლევან თექთურმანიძე, ნიკა ქუშაშვილი

IV კლასის მოსწავლეები

ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში აღვნიშნეთ, რომ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში გაიმართა ინტელექტუალური კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“.

აღვნიშნეთ, რომ გიმნაზია-პანსიონის მოსწავლეთა შორის გაიმარჯვა უფროსი ასაკობრივი ჯგუფის (V-VIII კლასები) გუნდმა „ბეთლემმა“.

გამარჯვებული გუნდი 16 აპრილს თიანეთში შეხვდა თიანეთის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს. შეხვედრაზე მიღწეული შედეგების მიხედვით გუნდი ბეთლემი გადავიდა ნახევარფინალში.

გუნდი ბეთლემის წევრებია: არსენ ჩქარეული (კაპიტანი), თეიმურაზ ბუჩუკური, სოფიო ღუდუშაური, მარიამ მაისურაძე, ლუკა მაისურაძე, დავით ტუწაშვილი, მარიამ სუჯაშვილი, გიორგი ბუჩუკური, ნათია სამქანაშვილი და ინგა მარსაგიშვილი.

საღვთო სჯულის მასწავლებელი

ნანა ეფხოშვილი

ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები

1989 წლის 9 აპრილი კიდევ ერთხელ შევიდა ისტორიაში თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის სისხლიან დღედ. ეროვნული მოძრაობა, რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ედგნენ, განსაკუთრებით მძლავრი ხდება 1988 წლიდან. ეწყობოდა მიტინგები და საპროტესტო აქციები საბჭოთა ხელისუფლების დიქტატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

1989 წლის 9 აპრილს მთავრობის მოედანზე შეიკრიბა ათასობით ქართველი პატრიოტი. მიტინგის დასაშლელად გამოყენებული იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ჯარის ნაწილები.

სამხედრო ჯავშანმანქანების კოლონა რამდენიმე ასეული ჯარისკაცის თანხლებით შეიჭრა მთავრობის სასახლის წინ მოედანზე და შეუბრალებლად დაუწყო ჩეხვა მომიტინგეებს და მოშიშშილეებს, რომელთა უმრავლესობა ქალები იყვნენ. საბჭოთა არმიის სადამსჯელო ნაწილებმა გაუგონარი სისასტიკით დაშალეს მშვიდობიანი მიტინგი, რის შედეგადაც მოედანზე დარჩა 19 მოკლული ადამიანის, აქედან 16 ქალის (მათ შორის ერთი ორსულის) გვამი. 2000-ზე მეტი ადამიანი გაზით მოიწამლა, მრავალი დაიჭრა.

9 აპრილის სისხლიანმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერა ეროვნული მოძრაობა. კიდევ უფრო შეუპოვარი გახდა ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს უახლოეს ისტორიაში 9 აპრილი შევიდა როგორც დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.

თაკო დვალიშვილი

IX კლ. მოსწავლე

მართლმადიდებლური ეკლესიის როლი ჩვენს ცხოვრებაში

მართლმადიდებლური ეკლესიის როლი ჩვენს ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ჩვენი თავისუფალი ნებით გვსურს მივემსგავსოთ ღმერთს.

მართლმადიდებლობის, ანუ ეკლესიის უმთავრესი მისიაა ადამიანმა სიყვარულში ადიდოს უფალი, რადგან ღმერთი სიყვარულია და მისი დიდება სიყვარულის დაცვაა ჩვენს გულში. ამიტომ მართლმადიდებლობა არის ქრისტესმიერი სიყვარულის როლი ჩვენს ცხოვრებაში.

ღვთის სიყვარულში წვდომა შეუძლებელია, თუკი არ ვცხოვრობთ წმინდა წერილის მიხედვით, სადაც ვკითხულობთ, რომ ქრისტეს სიყვარული ყოველგვარ ცნობიერებას აღემატება.

მართლმადიდებლობის გარეშე ცხოვრება ადამიანს აბოროტებს, რადგან იგი მოკლებულია ღვთის მადლს. სიმართლის მადიდებელი ადამიანის ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია. ის თავისი ნებით ადიდებს ღმერთს და წირავს თავს მსხვერპლად, რადგან მის გულში დამკვიდრდეს უფალი. დაითესოს სიკეთის მარცვალი, რომელიც უნდა გაღვივდეს და გამრავლდეს ადამიანის ცხოვრების წესით.

ლაშა ჩხვიმიანი

გიმნაზიის X კლასის მოსწავლე

ხევს ჩვენვე უნდა მოვუაროთ



3 აპრილს წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში სტუმრად გვეწვივნენ უკრაინელი მეცნიერები ელენა მარუშევსკაია, ვალენტინ დოლინევი და სულხან გაბრიჩიძე — დარიალ ჰესის მშენებლობის მენეჯერი.

წლების განმავლობაში ატეხილია განგაში, რომ დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა უარყოფითად იმოქმედებს რაიონის ფლორისა და ფაუნის განვითარებაზე. ჩვენც, გიმნაზიის უფროსკლასელებს არაერთხელ გვქონია მსჯელობა ამ საკითხზე, თუმცა გაურკვევლობაში ვიყავით. ვიცით, რომ სახელმწიფოს განვითარება ელექტრიფიკაციის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ჩვენი ლამაზი კუთხე ნამდვილად არ გვემეტება ეკოლოგიური კატასტროფისათვის. ამიტომ მართლაც დროული გამოდგა ამ მეცნიერების ჩამოსვლა, რომელთაც საქმის კურსში ჩაგვაყენეს მდინარე თერგის ფლორისა და მასში მყოფი მიკროელემენტების შემდგომ განვითარებაზე. ლექციაზე აღინიშნა, რომ წყლის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა უკვე შემუშავებულია და მისი განხორციელებაც დაწყებულია. თერგის კალმახი ქვირითის დასაყრელად ჩვენს ტერიტორიაზეევე არსებულ შენკადებს იყენებს, მაგრამ გამოჩეკილი ლიფსიტები და თვითონ კალმახიც ჰერსის ტურბინებში რომ არ მოხდეს და არ განადგურდეს ტურბინებამდე უკვე გაკეთებულია ტერასის მაგვარი კიბეები, რომელზეც კალმახს შეუძლია დინების საწინააღმდეგოდ ამოვიდეს და თერგს დაუბრუნდეს.

გაგვიხარდა, რომ ამ ადამიანებმა საჭიროდ ჩათვალეს ჩვენი გიმნაზიის მოსწავლეების გათვითცნობიერება ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხში. ჩვენ კი სტიმული მოგვეცა, რომ ჩართულები ვიყოთ, როგორც რაიონის ფლორისა და ფაუნის დაცვაში, ისე თვითმმართველობაშიც. ჩვენს კუთხეს ჩვენვე უნდა მოვუაროთ.

გიმნაზიის მოსწავლეების ლევან ჩოფიკაშვილის, გიორგი ქირიკაშვილის, უჩა ხუციშვილისა და სხვათა შეკითხვებს სტუმრებმა ამომწურავი პასუხი გასცეს და შეგვპირდნენ, რომ მომავალი სტუმრობისას სათანადო სადამკვირვებლო მიკროსკოპებითა და ხელსაწყოებით ჩვენთან ერთად დააკვირდებიან მდინარე თერგის მიკროკლიმატს.

პერიოდულად როგორც ჩვენ, ასევე რაიონის მოსახლეობას ანგარიშს ჩააბარებენ საბაზო პირობების მონიტორინგის შედეგებზე.

დოკუმენტების პროექტი წარდგენილი იქნება საზოგადოებრივ განხილვებზე, რასაც ორგანიზება გაუკეთდება ჰესის გაშვებამდე (დაახლოებით 2015 წლის შემოდგომაზე). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკრაინელი გარემოსდამცველების წასვლის შემდეგ დარიალის ხეობაში იხთიოფაუნის მონიტორინგს ქართველი სპეციალისტები გააგრძელებენ და მათაც ვთხოვთ, რომ ჩვენი გიმნაზიის უფროსკლასელები ჩაგვრთონ ამ დაკვირვებაში.

თამარ (თაკო) სუჯაშვილი
გიმნაზიის X კლასის მოსწავლე

ელენე მარუშევსკაია, ვალენტინ დოლინევი და სულხან გაბრიჩიძე გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად

მეშინია ეს სამოთხე, ეს ფალკოტი სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს.

მურმან ლებანიძე

სამშობლო ერთ-ერთი უდიდესი საჩუქარია, რომელსაც ღმერთი აძლევს ადამიანს. ეაზბეგში დაბადება კი მართლაც საჩუქრად უნდა მივიჩნიოთ მოხევეებმა. თვალის ერთი გადავლებითაც კი შეინიშნება რაოდენ სპეტაკი გარემოა, ადამიანები რაფინირებული სულით, მზიური გულით და სუფთა თვალებით გვაუწყებენ ადგილის დედის სითბოს. მისი მოდარაჯე ცაღაწვდენილი მწვერვალებითა და განუმეორებელი მყინვარით, სამების მონასტრით, რომელსაც ბრიტანულმა გამოცემა „ტელეგრაფმა“ მსოფლიოს ოც ულამაზეს ეკლესიას შორის მეექვსე ადგილი მიაკუთვნა. ჩვენი, მოხევეების ვალია გავუფრთხილდეთ ჩვენს ქვეყანას, ძალ-ღონე არ დავიშუროთ მისი კეთილდღეობისა და გაძლიერებისათვის, მაგრამ ბოლო დროს ეს არ ხდება. როგორც საქართველოში, ჩვენს ხევშიც ჭარბობს მიგრაციის ფორმები, რის გამოც წინათ მჭიდროდ დასახლებული სოფლები თითქმის დაცლილია. ნასახლარებმა იმატა ხევში.

მიგრაცია განსაკუთრებით მწვავედ შეეხო თრუსოს ხეობას, არადა, აქ ყველაზე მეტი შესაძლებლობაა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. თავისი ნაყოფიერი მთებითა და საძოვრებით, მინერალური წყლებით, რომელსაც მოხევეები „ვეძას“ ვეძახით. ყველაზე მეტად ამ ადგილს სჭირდება დასახლება, რადგან მას ჩრდილოელი მეზობელი ოსეთი ესაზღვრება და როგორც მათ სჩვევიათ, თვალი მუდამ სხვის მიწაზე უჭირავთ. ამიტომ მინდა მოვიშველიო მურმან ლებანიძის სიტყვები და ამით გამოვხატო ჩემი სულიერი მდგომარეობა: „მეშინია ეს სამოთხე, ეს წალკოტი, სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს“.

რამ შეინახა ხევი? ამ მკაცრ ბუნებაში როგორ მოვიდნენ მოხევეები აქამდე? ისევ და ისევ წინაპართა სიბრძნის წყალობით. წინათ ხევში უხუცესთა საბჭო თავისი ხევისბერით წარმართავდა გვარისა და სოფლის სამეურნეო კულტურულ საქმიანობას. იცავდა ხევს მიგრაციისაგან. ასე მაგალითად, ხევიდან წასვლას ნებართვის აღება და თემის გადაწყვეტილება სჭირდებოდა. თემი ცდილობდა წევრების დამაგრებას ადგილზე, რათა ხევის ყოფაცხოვრების ტრადიციები არ შერყეულიყო. ამისათვის არსებობდა ეკონომიური სანქციებიც: გადასახლების მოსურნე საკუთარი ცხვრის ნახევარს შშობლიური სოფლის ღარიბ და ხელმოკლე მცხოვრებლებს უტოვებდა. ცხვრის ან თავისი ქონებიდან რაიმეს გასხვისების უფლება მოსახლეს მთელი სოფლის თანხმობით ეძლეოდა. საერთოდ, თემიდან ნებაყოფლობით წასვლა, გარკვეულწილად, განდგომას ნიშნავდა, რაც ზეობრივად მიუღებელი იყო. ყოველივე ამის ფონზე კი რა ხდება დღეს? მოსახლეობა ხელაღებით ტოვებს ხევს და შეიძლება უარის პირობებში საცხოვრებლად მიდის.

ჩვენ, მოხევეები, და არა მხოლოდ მოხევეები, მთლიანად საქართველო უნდა გამოვფხიზლდეთ. ჩვენს მიწა-წყალს თუ ჩვენ არ ვუპატრონებთ, სხვა ვიღა მიაგებს პატივს?!

არ კმარა მხოლოდ სიტყვები, ამ ყველაფერს გულითადი შრომა სჭირდება. ჰოდა, ჩვენც მოვინდომოთ ჩვენი კუთხისა და ქვეყნის აყვავება. ნუ მივატოვებთ წინაპრების ოფლით, სიბრძნითა და სისხლით აქამდე მოყვანილ ჩვენს მიწა-წყალს, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ქვეყანაში გავიქცეთ ეკონომიურად გაძლიერების მიზნით. თუ ჩვენ მოვინდომებთ, ღვთისმშობლის მეოხეობით, ჩვენი სამშობლო ისევ აყვავდება და გაძლიერდება და დაადგება აღმავლობის გზას. მე მჯერა და მწამს, რომ „ყველაფერი კარგად იქნება“, თუ ჩვენც, ახალგაზრდები, ჩავერთვებით ქვეყნის აღმშენებლობაში.

ციკო ფიცხელაური
გიმნაზიის X კლასის მოსწავლე

სიკეთე უსასრულოა (კონკურსისთვის)

სიკეთე უდიდესი ძალაა ცხოვრებაში. მე ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანი კეთილი იბადება, მაგრამ ცხოვრების გზაზე შეიძლება ის გახდეს გულგრილი, ავსიტყვა, სხვისი გრძნობების არად ჩამგდები. ასეთ ადამიანებს ოჯახში, ან მის გარემოცვაში ალბათ სიყვარული აკლდათ და ამიტომ გახდნენ ასეთები.

სიყვარული ადამიანში სიკეთეს ეძებს და არა ბოროტებას. იყავით კეთილნი და მდაბალნი — მოგვიწოდებდა წმიდა გაბრიელ ბერი თავის ანდერძში.

ადამიანს ისე უნდა მოექცე, როგორც შენ გინდა, რომ მოგექცნენ. სიკეთე ჩემთვის სხვისი დახმარებაა. რამდენი მოხუცია, რომელსაც უკვე აღარ შეუძლია მოემსახუროს თავის თავს. ახალგაზრდებმა პატივი უნდა ვცეთ უფროსებს, წინაპართა ხსოვნას. სიკეთის გამოვლინებაა ისიც, როცა ხედავ უმწეო კატის კნუტს ან ძაღლს და დაეხმარები და დააპურებ მას. სიკეთის მკეთებელი თვითონაც ბედნიერია სიკეთის კეთებით და ღმერთიც ასეთ ადამიანს მფარველობს. ადამიანი სულით ძლიერი მაშინაა, როცა ლოცულობს, ჩემს ამხანაგებს მოვუწოდებ, რომ დღეიდან ყველამ ვაკეთოთ სიკეთე და ვიბრძოლოთ სულიერი ჯილდოსათვის.

გურამ დოჩანაშვილის თქმით, დედამიწას სიყვარული ატრიალებს. სიყვარული და სიკეთე კი, ჩემი აზრით, ერთი და იგივეა. ჰოდა, ხომ გვინდა, რომ დედამიწამ სულ იტრიალოს, მაშინ ვიყოთ კეთილები. მე ძალიან მომეწონა „ჩემ გიმნაზიაში“ დაბეჭდილი თეა ალიბეგაშვილის სტატია „ჩვენც დავბერდებით“. თეამ კარგად აღწერა ჩვენი რაიონის უხუცესის თამარ ღუდუშაურის ცხოვრება.

მე კი მინდა, სიკეთეზე პატარა, მოკრძალებული ლექსი მოგახსენოთ:

სიკეთე სათნოებისა
სწორი სავალი გზა არის,
სიკეთე მადლის ნიჭია,
დაულეველი ზღვა არის.

სიკეთეს ზღვარი არა აქვს,
ცად აღმართული კიბეა,
იგი ცხოვრების აზრი და
ჭეშმარიტებაც იგია.

სიკეთეს რა შეედრება,
თუ დასთეს, მუდამ გზად არის,
სადაც რომ გაგიჭირდება,
იგი საშველად მზად არის.

ნინო ბადაშვილი
გიმნაზიის XI კლასის მოსწავლე



შალვერდ ღუდუშაური

შალვერდ ღუდუშაური დაიბადა 1924 წლის 24 აპრილს, ხევის ერთ გამორჩეულ სოფელ სნოში.

დაწყებითი განათლება სნოს შვიდწლიან სკოლაში მიიღო, შემდეგ ეაზბეგის საშუალო სკოლა დაამთავრა წარჩინებით. აქვე დაიწყო პირველი ლექსების წერა. სწავლა გააგრძელა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში.

შალვერდ ღუდუშაური გვარ-ოჯახის ტრადიციითა და მოწოდებით ერის სამსახურში უნდა მდგარიყო და რაკი სხვა ასპარეზი ჩაკეტილი ჰქონდა, მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი.

ხევის მივარდნილ სოფლებში სკოლა უმასწავლებლოდ დარჩებოდა და დახურვა დაემუქრებოდა, შალვერდი გამოუჩნდებოდა ხოლმე მხსნელად, ავიდოდა, სკოლას გადაარჩენდა, ბავშვებს „დედაენას“ ასწავლიდა.

მისთვის არც მწყემსობა ყოფილა უცხო, არც ნადირობა, არც მოგზაურობა. ყველაფერი მის პოეზიაშია არეკლილი, მისი ცხოვრება ლექსებს შემორჩა.

შალვერდ ღუდუშაურის წინაპრები ხევის წინამძღოლნი იყვნენ. ბრძოლაში შემართებულნი და განსჯისას ბრძენნი. თუკი რამეს ისაკლებს პოეტი, სწორედ ამას, თავის მოწოდებასა და ადგილს ერის სამსახურში.

შალვერდ ღუდუშაური განცდითა და ბედით ენათესავება ბასილ მელიქიშვილს, მასავით მარტოსულს, მასწავლებელს, მაგრამ განსაკუთრებული სულიერი სიახლოვე მაინც გაბრიელ ჯაბუშანურთან ჰქონია.

შალვერდ ღუდუშაურის ლექსები პირველად ოთხმოციან წლებში დაიბეჭდა და ფართო მასებმაც ამ დროიდან გაიცნო პოეტი.

ასე გალია თავისი დღენი შალვერდ ღუდუშაურმა. გარდაიცვალა 1965 წელს. მისი გარდაცვალებიდან 50 წელია გასული. ახლა კი გვინდა მწერლის ერთი პატარა ლექსით გაგაცნოთ მისი სულიერი მდგომარეობა:

გაუძლებელს მე ხომ ვძლებდი,
შაო ღამევ, ქარიანო.
არ გამწირვენ ჩემი ძმები
იქნებ გზაშიც არიანო.
თახთახებენ ყინვით ძვლები,
ნეტავ ტყვილად არ იარონ!

ინგა მარსაგიშვილი
გიმნაზიის VI კლასის მოსწავლე

ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულსა და ისტორიაში

დღესდღეობით თვლიან, რომ ინტერდისციპლინური მიდგომა უფრო ეფექტური და ნაყოფიერია, ვიდრე მასალის განკერძოებული ათვისება. შეაბამისად, მეტად აქტუალურია ინტეგრირებული გაკვეთილის თემა.

ადრეულ ასაკში მოსწავლეებს უჭირთ ცალკეულ დისციპლინებში ნასწავლი მასალის სინთეზი, განზოგადება. ინტეგრირებულ გაკვეთილზე ორი ან მეტი საგნის შერწყმა საშუალებას იძლევა, მოსწავლემ დაინახოს კავშირი მოცემულ საგნებს შორის, რაც, საუკეთესო შემთხვევაში, დაეხმარება ცალ-ცალკე ნასწავლი მასალის გამთლიანებაში.

პრაქტიკოსი მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ძნელია ისეთი თემების პოვნა, რომლებიც ერთი და იმავე საკითხის მრავალხმრივ შესწავლას შეუწყობს ხელს. მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, პირიქით იყო; ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ აიოლებს ისეთი თემების შერჩევას, რომელზეც ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება შეიძლება.

IX კლასის ისტორიის მასწავლებელთან, ეთერ პაპიაშვილთან, ერთად შევარჩიეთ თემა — ორი თვალთახედვა და განწირული თავისუფლება. ეს საკითხი განვიხილეთ, დავამუშავეთ ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილი და შეძლებისდაგვარად შევძელით მოსწავლეთა მოტივირება.

უნდა შევნიშნო, რომ ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება ჩვენს გიმნაზიაში არ არის მთლად ახალი სამუშაო, ამიტომ გარკვეულ სირთულეებთან ერთად შეინიშნება პროგრესი.

დასაწყისში მოსწავლეებმა მიმოიხილეს XVIII ს-ის საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა და დაუკავშირეს ლიტერატურაში ნასწავლ მასალას — „დავითიანს“ (IX კლასის სახელმძღვანელოში შეტანილ ტექსტებზე დაყრდნობით) და ასე დაიწყეს ფიქრი ახალ თემაზე. ჯგუფურად მოძიებულ მასალის პრეზენტაციას მოჰყვა დისკუსია. თემის მასშტაბურობის გამო დისკუსიაში ჩაერთნენ დამსწრე პირები, მოსმენილი მოსაზრებები კი დაეხმარა მოსწავლეებს საკითხის შეჯამებაში.

ვინაიდან ინტეგრირებული გაკვეთილის მთავარი მიზანი მოსწავლეებში სინთეზური აზროვნების განვითარებაა, ვფიქრობ, თითოეული ასეთი სამუშაო წინწადგმული ნაბიჯია ამ თვალსაზრისით.

მაკა ქავთარაშვილი
ეთერ პაპიაშვილი

გაზაფხული ჩემს სოფელში

როგორც იქნა, გაზაფხულდა! მიწიდან თავი ამოყო ენძელამ, დაინახა მთებზე მოფენილი ძნის სხივები და სიხარულით კიდევ ერთხელ წარმოთქვა: როგორც იქნა, გაზაფხულდა! შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა და დაინახა თოვლით დაფარული მყინვარწვერი. პაწაწინა ენძელას შეეშინდა ბუმბერაზი მყინვარის დანახვა და ამავდროულად მოიხიბლა მისი სილამაზით. ძნის სხივები მყინვარწვერს ცეცხლისფრად ანათებდა და სილამაზეს მატებდა.

მყინვარწვერისაგან მოჯადოებულმა ენძელამ ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და შეამჩნია, რომ მთელი არემარე ენძელებით იყო სავსე. ყველგან საამური სურნელი იდგა და ყველას უხაროდა გაზაფხულის მოსვლა.

მალე ნაკადულმაც დაიწყო მხიარული კისკისი. ფრინველებიც აჭრიამულდნენ. ცაშიც და ბარშიც ნამდვილი გაზაფხულის დღესასწაული იყო. ენძელამ კიდევ ერთხელ გადაავლო არემარეს თვალი და თავადაც ცეკვა-ცეკვით ჩაება გაზაფხულის ზეიმში.

ანა კაზალიკაშვილი, V კლ. მოსწავლე

წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის დირექტორს მეუფე იეგუდიელს, გაზეთ „ჩემი გიმნაზიის“ რედკოლეგიასა, პედკოლექტივს და პატარა ჟურნალისტ თეა ალიბეგაშვილს:

მოგილოცავთ წმიდა გიორგის ბრწყინვალე დღესასწაულს, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და ახალგაზრდობის ათეისტურად აღზრდის საქმეში გაწეულ მუშაობისათვის. გმადლობთ ყურადღებისათვის.

თამარ ღუდუშაური
დ. სტეფანწმინდის უხუცესი მანდილოსანი

ჩემი ძალლი კარგად უნდა ცხოვრობდეს

(კონკურსისათვის)



რობიკო სუჯაშვილი

რედაქტორი **მანონი გომიაშვილი**	**სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური, უჩა ხუციშვილი.**	**მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია- პანსიონი**